ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის

ო ქ მ ი № 7

სხდომის ჩატარების დრო:

29 აპრილი, 2026 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეშვიდე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი მ.ნიჟარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: ლ.გვენეტაძე, ა.კოპალეიშვილი, საკრებულოს წევრები: ს.ნერგაძე, მ.ჩიხლაძე, ბ.გვეტაძე, დ.მხეიძე, ჯ.ბიბილეიშვილი, შ.ჯიშკარიანი, ი.კუჭავა, თ.ბაკურაძე, ლ.ჩიტიძე, ა.გიორგაძე, ა.თამაზაშვილი, ბ.ჩეჩელაშვილი, ს.სარალიძე, კ.ფხაკაძე, ა.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

სულ: 25 წევრიდან - 20 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი დ.ერემეიშვილი, მერის მოადგილეები, ბატონები: გ.ცხაკაია, დ.ნიშნიანიძე და მ.მშვილდაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი გ.სვანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ვ.გობეჯიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ვ.სილაგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის

მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ი.გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი გ.სანდუხაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები, ქალაქ ქუთაისის მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მეშვიდე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 29 აპრილის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 28 აპრილის წერილობითი მომართვის შესაბამისად, დღის წესრიგის პროექტს მე-7 ნომრად დაემატა საკითხი - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგის პროექტის საკითხები გადაინომრა თავიდან. ამასთან, დღის წესრიგის პროექტის მე-3 საკითხის დასახელებაში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა წინამდებარე რედაქციით.**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი **მეშვიდე** სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის

შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა
სამსახურის ხელმძღვანელი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და შინაური ცხოველების-მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოლის წესების დამტკიცების შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-
იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის აპრილამდე გაწეული საქმიანობის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გაგა სანდუხაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის
ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი ქსელებისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის სააგენტოს“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-
იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ საკრებულოს რიგითი მეშვიდე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მეშვიდე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ჭიღვარიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **პირველი** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პეტრე ადამაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე**: „ბოლო სხდომის შემდეგ ორჯერ იყო საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომა, მათ შორის გუშინაც, კარგი იქნება ასეთი საკითხები შემოვიდეს და კომისიამ იმსჯელოს. სისტემაში ვაკვირდები და განმარტებითი ბარათი არ ახლდა წარმოდგენილ საკითხს. გთხოვთ განმიმარტოთ, რით არის განპირობებული, რომ შტატებს ვზრდით და კიდევ რა სახის ცვლილებებია მეტი კონკრეტიკა თუ შეიძლება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **პეტრე ადამაძე**: „ვერ დაგეთანხმებით, დადგენილების პროექტს ახლავს განმარტებითი ბარათი და საკითხი საკრებულოში აღმასრულებელი ორგანოდან წარმოდგენილია დადგენილი წესით. რაც შეეხება თქვენს მეორე კითხვას. დავაზუსტებ, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილება შედის 2 დანართში. პირველ დანართში

მცირდება ორი შტატი, კერძოდ, უქმდება მერის პირველი მოადგილის თანაშემწეების შტატები. ასევე, აღნიშნულ დანართში ემატება სოციალური საკითხთა სამსახურის მოადგილის ერთი საშტატო ერთეული. მოგეხსენებათ, აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ერთ-ერთი დატვირთული ერთეულია, რომელიც ემსახურება მოქალაქეებისთვის სოციალური პროგრამების მიწოდებას. გაზრდილი მომართ-ვიანობიდან გამომდინარე და ასევე, მენეჯმენტის პროცესის ხელშეწყობისთვის შეიქმნა აღნიშნული პოზიცია. მეორე დანართში საკითხი შეეხება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს. მუნიციპალური და საბინაო ინფრა - სტრუქტურის მართვის სამსახურს ემატება ერთი, ხოლო სოციალურ სამსახურს - 2 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ჯემალ ბიბილეიშვილი:** „იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული დადგენილების პროექტი, რომელიც სრული დოკუმენტაციით, მათ შორის განმარტებით ბარათით იყო წარმოდგენილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „როგორც აპარატი მაწვდის ინფორმაციას, საკითხი სრულად იყო წარმოდგენილი და მიწოდებული ყველა დეპუტატისთვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე**: „რადგან იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა ეს საკითხი, კარგი იქნება საკითხს გავეცნოთ სხვა კომისიის წევრებიც. გუშინ საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ჩემს რამდენიმე კოლეგას არ ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მე ამ ცვლილებებს მხარს არ დავუჭერ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბესიკ ჩეჩელაშვილი**: „გუშინდელი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ფორმატი არ ითვალისწინებდა აღნიშნული საკითხის განხილვას. ჩვენ კომისიაზე ვხვდებოდით შიდა აუდიტის სამსახურს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა საჯაროა და შეგიძლიათ დაესწროთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 1 წევრი - ა.მიქაუტაძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა - ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **პირველ** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის, **პეტრე ადამაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №12** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეორე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით / საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 29 აპრილის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**დადგენილების პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში სიტყვები - „უსახლკაროდ რეგისტრაციის“, შეიცვალა სიტყვებით - „უსახლკაროთა**

რეგისტრაციის"; დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის ბოლოს ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №36 ძალადასაკარგი დადგენილების საკანონმდელო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნების თარიღი და სარეგისტრაციო კოდის ნომერი; დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:"; გასწორდა დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-2 და მე-8 მუხლების ქვეპუნქტების ნუმერაცია; დადგენილების პროექტის №1 დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (ტერმინების მნიშვნელობა) „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბ) კომისია – ამ წესის განხორციელების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია (შემდგომ – კომისია)." ამ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნა ფრაზა - „და ამტკიცებს მის დებულებას". აღნიშნული ფრაზა დაემატა მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტის ბოლოს; მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წინამდებარე საკითხთან დაკავშირებით დადგენილების მიღების შემდეგ, დადგენილების პროექტის №2 და №3 დანართების ცხრილების გრაფებში - „განმცხადებლის ხელწერილი," ჩაიწეროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილების მიღების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი.), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვარლამ გობეჯიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „თქვენს განმარტებით ბარათში საუბარია მიზანზე. წესში შედის ცვლილებები, რომლებზეც ვრცლად ისაუბრეთ. მინდა დავაზუსტო როგორი ვითარებაა დღესდღეობით ქალაქში, რამდენი ასეთი ადამიანია რეგისტრირებული. რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ამ რეგისტრირებული ადამიანების რიცხვი შემცირდეს. თქვენ შეიძლება ადრესატი არ ბრძანდებით, მაგრამ ხშირად გვესმის, რომ სახელმწიფოს არა აქვს მკაფიო, სწორი პოლიტიკა იმ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რაც ახალგაზრდა ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფას შეეხება.

აქ კიდევ უფრო შეჭირვებულ ადამიანებზეა საუბარი და თუ შეიძლება უფრო დეტალურად აგვიხსნათ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ვარლამ გობეჯიშვილი:** „ზუსტ ციფრს, დღეს რამდენი უსახლკარო პირია რეგისტრირებული, ვერ გეტყვით იმ მიზეზის გამო, რომ მას შემდეგ, რაც ბოლო განსახლება განხორციელდა 2023 წელს, მას შემდეგ შემოდის განცხადებები. ეს ითვლება ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად და სწორედ ეს გახდა ჩვენთვის მოტივაცია და გამოწვევა, რომ უკეთესი წესი შეგვექმნა. წესი, რომელიც არ შეიცავს არანაირ დისკრიმინაციას და ვეცადეთ, ყოფილიყო განსაკუთრებით სამართლიანი. მოგახსენებთ, რომ დაახლოებით 300-ზე მეტი განცხადებაა შემოსული უსახლკაროდ რეგისტრაციის სურვილით. რაც შეეხება იმას თუ რას ვაკეთებთ, გითხარით და კიდევ განვმეორდები, რომ შევქმენით უკეთესი წესი, მაგალითად ქულათა შეფასების სისტემა არ არის მიბმული მხოლოდ სარეიტინგო სოციალურ ქულაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა - ა.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეორე** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის, **ვარლამ გობეჯიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის **№13 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით / საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება №13** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მესამე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და შინაური ცხოველების - მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოლის წესების დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 29 აპრილის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**დადგენილების პროექტის სათაურში ამ დადგენილების დანართის შესაბამისად, სიტყვების - „ბინადარი ცხოველების“ შემდეგ, ჩაემატა სიტყვები- „მოვლა-პატრონობის“; დადგენილების პროექტის 1-ელი მუხლი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ამ დადგენილების პროექტის №1 დანართის სათაურთან და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი დანართი №1-ის შესაბამისად“; დადგენილების პროექტის №2 დანართი გასწორდა რედაქციულად.**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ირაკლი გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა- ა.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მესამე** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, **ირაკლი გიორგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის **№14 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და შინაური ცხოველების - მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოლის წესების დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება №14** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქ - ტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის აპრილამდე გაწეული საქმიანობის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში წარმოადგინა ამ სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **გაგა სანდუხაძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „საფინანსო - საბიუჯეტო კომისიაზე განვიხილეთ ეს საკითხი, მე მხარი დავუჭირე ამ ანგარიშს, თუმცა, შევეხეთ შესაძლო პრობლემებს, რომლებიც შეიძლება არსებობდეს. თქვენ ისაუბრეთ მიგნებების შესახებ და მართლა საინტერესო იყო თქვენს მიერ წარმოდგენილი ხედვა, მაგალითად თუ როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ქონებას, რომელიც ამა თუ იმ ორგანიზაციის პასუხისმგებლობის ქვეშაა. თქვენ შეეხეთ ანგარიშვალდებულების ნაწილსაც. მომავალში მე ვისურვებდი მეტ კონკრეტიკას არსებული ვითარების შესახებ ამა თუ იმ დაწესებულებაში, რათა საკრებულოში ვიცოდეთ რა ვითარებაა აღმასრულებელ ორგანოში."

ზემოაღნიშნული ანგარიშის თაობაზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ.**

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ჭიღვარიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან

2026 წლის აპრილამდე გაწეული საქმიანობის შესახებ“
და **განკარგულება №64** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი ქსელე - ბისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 29 აპრილის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ ჩაემატა ამ კოდექსის 122-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაიწერა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის რეკვიზიტები.**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის **№65 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღ - უდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი ქსელებისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №65** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეექვსე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაო - ბაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 29 აპრილის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ ჩაემატა ამ კოდექსის 122-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაიწერა ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის რეკვიზიტები.), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეექვსე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის **№66 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადა - ცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №66** ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგის **მეშვიდე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არა - კომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის“ პირ - დაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაო-ბაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, იმერეთის მართვის დანიშნულების ორგანიზაცია ამავდროულად ითხოვს 340 კვ.მ. ტერიტორიას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ჩვენ არ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ ეს მიწა გადაგვეცა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „ანუ, აქ საუბარია „ოქროს ჩარდახზე“?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭილვარია: „მიწა რასაც ითხოვდა, ეს არის პარკირების ტერიტორია და ახლა რასაც გადავცემთ, ეს არის ჯიხურები, რომლებიც არის პირველ სკოლასთან."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭილვარიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, დ.მხეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 17 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა - ა.მიქაუტაძემ და ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეშვიდე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" **განკარგულება №67** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მერვე** საკითხის - **„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის სააგენტოს" დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 29 აპრილის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში, სიტყვების - „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა“ შემდეგ, ჩაემატა სიტყვა - „პოპულაციის“. გამომდინარე აქედან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის სააგენტო“.**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ირაკლი გიორგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „თუ შეიძლება ამ საკითხთან დაკავშირებით ცოტა უფრო ვრცლად გვითხრათ, რამ განაპირობა ამ აიპის შექმნა და რას ვგეგმავთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ირაკლი გიორგაძე:** საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ. აღნიშნულმა დაარეგულირა ცხოველთა თავშესაფრის საკითხი. მუნიციპალიტეტებს, აღნიშნული კანონით მიეცათ უფლება დააფუძნონ დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირები. შეუძლიათ დააფუძნონ ცალკეც და ასევე რამდენიმე მუნიციპალიტეტმა - ერთად. 2026 წელს საქართველოს მთავრობიდან გამოყოფილია გარკვეული თანხა იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებისათვის, ასევე, გურიისა და სამეგრელოს მუნიციპალიტეტებიც ჩვენთან შემოდის ამ წელს. ამათ მომსახურება უნდა გაუწიოს ქუთაისში არსებულმა

მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარმა. რაც არსებობს ახლა სპეციალურ სერვისებში, ის ვერ გასწვდება 10000 ძაღლის მოვლა - პატრონობას, ამიტომ საჭიროა დაფუძნდეს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირი, რასაც დააფუძნებს ქუთაისის მუნიციპალიტეტი. აღნიშნული იურიდიული პირი იქნება წევრობაზე დაფუძნებული. დანარჩენი მუნიციპალიტეტები შემოვლენ როგორც წევრები. მანამ, სანამ ფინანსდება სახელმწიფოდან, წევრობა იქნება უსასყიდლო, მაგრამ, როცა სახელმწიფო შეწყვეტს დაფინანსებას, ყველა მუნიციპალიტეტს, რომელსაც დასჭირდება ამ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მომსახურება, გადაიხდის წევრობის გადასახადს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „მოგეხსენებათ, რომ მიუსაფარი ცხოველების პრობლემა დგას მთელს ქვეყანაში. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა და მხარს ვუჭერთ აღნიშნულ საკითხს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უპარტიო წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „განმარტებით ბარათში იყო ინფორმაცია რაზეც თქვენ ისაუბრეთ. ბიუჯეტს რა უჯდება ეს ყველაფერი, რა ვადებია, როდის ვიწყებთ, რას ვაშენებთ და როდის უნდა შევიდეს აღნიშნული ექსპლოატაციაში?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ირაკლი გიორგაძე**: „ამ ეტაპზე საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილია საკითხი მხოლოდ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ, რომლის მიღების შემდეგაც დადგინდება რა ჯდება და როგორ იქნება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დავით ნიშნიანიძე**: „ბატონმა ირაკლიმ ამომწურავად გაგცათ პასუხი, მაგრამ რაც შეეხება თქვენს მეორე შეკითხვას. აღნიშნული საკითხი დაიძრა პრემიერ - მინისტრის

ინიციატივით. შარშან, მიზნობრივი ტრანსფერით გამოიყო გარკვეული თანხა. აშენდა შენობა, გაკეთდა საოპერაციო სივრცეები და აღიჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით. რაც შეეხება თანხას, ის არის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის სახით და შეადგენს 1 324 000 ლარს. ყოველი წლის ბოლოს ხდება მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვა და შესაბამისად იმ თანხის გამოყოფა რაც არის საჭირო იმ საქმიანობის ოპერირებისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა - ა.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მერვე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის- იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, **ირაკლი გიორგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის **№68 განკარგულების** პროექტში.

(„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის სააგენტოს" დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" **განკარგულება №68** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მეშვიდე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის

დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგითი მეშვიდე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეშვიდე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.